საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022-2023 წლების ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის არჩევის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 165-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად
საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022-2023 წლების ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად არჩეულ იქნეს აუდიტორული ფირმა – შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“.

2. აუდიტორული შემოწმების სრული ღირებულება განისაზღვროს 140 000 ლარით.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022-2023 წლების ფინანსური აუდიტის ხარჯები გასწიოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა.

4. დაევალოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, აუდიტორულ ფირმასთან – შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-სთან გააფორმოს ხელშეკრულება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**

თბილისი,

5 ოქტომბერი 2022 წ.

N1884-IXმს-Xმპ